დანართი N1

რეორგანიზაციის სამოქმედო გეგმა

1. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადმა სტრუქტურულმა ერთეულმა ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილებამ უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში რეორგანიზაციის პროცესის დაწყების შესახებ ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება საჯარო სამსახურის ბიუროსადმი.
2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელებმა, არაუგვიანეს 2022 წლის 20 მარტისა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორად სტრუქტურულ ერთეულს ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილებას წარუდგინონ რეორგანიზაციის გამო განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა, ასევე მოსაზრებები მათდამი დაქვემდებარებულ პირველადი სტრუქტურული ერთეულების სტრუქტურის, შტატებისა და დასაქმებულ საჯარო მოხელეთა ფუნქციებთან დაკავშირებით, ასევე მათდამი დაქვემდებარებულ პირველად სტრუქტურული ერთეულებში დასაქმებულ პროფესიულ საჯარო მოხელეთა შეფასებები.
3. წინამდებარე ბრძანების მე-2 პუნქტში მითითებული გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორად სტრუქტურულ ერთეულის ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, შ. ხურციძე.
4. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადმა სტრუქტურულმა ერთეულმა ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილებამ მერის პირველ მოადგილესთან, მოადგილეებთან და პირველად სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით არაუგვიანეს 2022 წლის 20 აპრილისა უზრუნველყოს "ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტების მომზადება.
5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადმა სტრუქტურულმა ერთეულმა იურიდიულმა განყოფილებამ, მერის პირველ მოადგილესთან, მოადგილეებთან და პირველად სტრუქტურულ ერთეულების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით არაუგვიანეს 2022 წლის 20 აპრილისა უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და მისი პირველადი სტრუქტურული ერთეულების დებულებების პროექტების მომზადება.
6. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადმა სტრუქტურულმა ერთეულმა ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილებამ მერის პირველ მოადგილესთან, მოადგილეებთან და პირველად სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან შეთანხმებით არაუგვიანეს 2022 წლის 26 აპრილისა უზრუნველყოს თანამდებობიდან გასათავისუფლებელ მოხელეთა სიის განსაზღვრა და აცნობოს თანამდებობიდან გასათავისუფლებელ მოხელეებს რეორგანიზაციის შესაძლო შედეგები.

7. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადმა სტრუქტურულმა ერთეულმა ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების განყოფილებამ მობილობის განხორციელების მიზნით არაუგვიანეს 2022 წლის 26 აპრილისა უზრუნველყოს საჯარო სამსახურის ბიუროში გასათავისუფლებელ მოხელეთა სიის გაგზავნა, მათი თანამდებობის, კვალიფიკაციისა და სამუშაო აღწერილობის მითითებით.

8. არაუგვიანეს 2022 წლის 11 მაისისა განხორციელდეს "ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის დამტკიცების, მერიის საჯარო მოსამსახურეთა და მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა.

9. არაუგვიანეს 2022 წლის 11 მაისისა განხორციელდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიისა და მისი პირველადი სტრუქტურული ერთეულების დებულებების პროექტების ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის დასამტკიცებლად წარდგენა.

10. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულებში (სამსახურებში) რეორგანიზაციის და შტატის შემცირების შედეგად მოხელეები თანამდებობიდან გათავისუფლების პროცესი უნდა დასრულდეს არაუგვიანეს 2022 წლის 28 მაისისა.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერი

იოსებ ხახალეიშვილი